„ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“

სამშვიდობო ინიციატივა

ვაჭრობის წახალისება
გამყოფი ხაზების გასწვრივ

თბილისი
2018 წელი

სარჩევი

შესავალი....3

გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის ახალი შესაძლებლობები....4

სავაჭრო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები....5

1. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირების პირადი ნომრით იდენტიფიკაცია....5

2. სპეციალური ეკონომიკური სივრცე....6

2.1 მომსახურების ერთიანი ცენტრი („ერთი ფანჯრის“ პრინციპი)....7

2.2 მრავალფუნქციური ტრენინგ ცენტრი....10

2.3 ბიზნეს ინკუბატორი....10

2.4 საგადასახადო სერვისცენტრი (გეზ-ის ფუნქციების ჩათვლით)....11

2.5 აგრარული ბაზარი....11

2.6 ავტონაწილებისა და ავტომობილების ბაზრობა....12

2.7 თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (თიზ)....13

3. გადამხდელის სპეციალური სტატუსი....13

4. გამყოფი ხაზების გასწვრივ საქონლის გადაადგილება, მარკირების წესები, შიდა და გარე ბაზრებზე წვდომა....15

4.1 საქონლის მიწოდება აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე....15

4.2 საქონლის ექსპორტი....16

4.3 აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში საქონლის გადაადგილება....16

5. ფინანსური და საკანონმდებლო ინსტრუმენტები....16

5.1 ფინანსური ინსტრუმენტი....16

5.2 საკანონმდებლო ბაზა....17

დასკვნა....18

შესავალი

ქვეყნის დინამიური განვითარების გზაზე საქართველოს მთავრობისთვის **უმთავრესი პრიორიტეტი არის მშვიდობა,** რაც პროგრესის, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის და დაცულობის წინაპირობაა.

მშვიდობა და განვითარება წარმოადგენს არსებული გამოწვევების დაძლევის უალტერნატივო გზას. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ახორციელებს კონფლიქტის მოგვარების **მშვიდობიან, თანმიმდევრულ, პრაგმატულ და პრინციპულ პოლიტიკას,** რომელსაც ფართო საერთაშორისო მხარდაჭერა გააჩნია.

ამ მიდგომის საყრდენია შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკა, რაც გულისხმობს კონფლიქტით დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ნდობის მშენებლობას და იმ მოსახლეობაზე ზრუნვას, რომელიც მოუგვარებელი კონფლიქტის სიმძიმეს ყოველდღიურად განიცდის.

საქართველოს მთავრობის პოლიტიკისათვის **მთავარი ღირებულება არის ადამიანი,** მისი უფლებები და ღირსება. შესაბამისად, სამშვიდობო პოლიტიკის ფარგლებში **პრიორიტეტულია კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობისათვის** კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოგვარებამდეც, შეიქმნას შესაძლებლობები ღირსეული აწმყოსა და მომავლისათვის.

ამის მიღწევა შესაძლებელია პრაგმატული და ჰუმანიტარული მიდგომებით, გამყოფი ხაზების გასწვრივ კონტაქტების წახალისებით, საზოგადოებრივი დიალოგით, გახსნილობით და პროაქტიული ნაბიჯებით. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა მზად არის **გადადგას ახალი და დინამიური ნაბიჯები,** რასაც საფუძვლად უდევს მოსახლეობის ჰუმანიტარული საჭიროებები, პრაგმატული ინტერესები, სწრაფვა განვითარებისა და უკეთესი მომავლისკენ.

საქართველოს მთავრობა წარმოადგენს ინიციატივას, რომლის მიზანია ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთათვის ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, ახალი შესაძლებლობებისა შექმნისა და ხელშესახები სარგებლის მიღების, შიდა და საგარეო ბაზრებზე წვდომის, გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას შორის კავშირების და ურთიერთობების, მიმოსვლის, საერთო ინტერესების გარშემო თანამშრომლობის ხელშეწყობისა და სამშვიდობო პროცესის გააქტიურებისათვის.

შესაბამისად, წარმოდგენილი ინიციატივა მოიცავს საქართველოს მთავრობის მიერ გადასადგმელ ნაბიჯებს. ამასთან, ამ ინიციატივის სრულფასოვანი განხორციელების მიზნით, იძლევა შესაბამის დაინტერესებულ აქტორებს შორის **ჩართულობის, დიალოგისა და თანამშრომლობის შესაძლებლობას, რაც საქართველოს მთავრობის უპირატესი ამოცანაა.**

წარმოდგენილი ინიციატივა არის **ცალსახად კონსტრუქციული და ემსახურება ჰუმანიტარულ ამოცანებს.** მთელი რიგი საკითხების გადაჭრა შესაძლებელია პოლიტიზების გარეშე, ჰუმანიტარული პრინციპების გათვალისწინებით და ზოგიერთ შემთხვევაში –

დეპოლიტიზირებული/სტატუს-ნეიტრალური ინსტრუმენტებისა და ფორმატების გამოყენებით. ამასთან, ჰუმანიტარული და შერიგების ამოცანების გათვალისწინებით **სტატუს-ნეიტრალური ინსტრუმენტების გამოყენება არ ნიშნავს „სტატუს-ინდიფერენტულობას“** ან სტატუსის საკითხის გადახედვას, არამედ კონკრეტული ჰუმანიტარული ამოცანის შესრულებისას, **საკითხების დეპოლიტიზაციას** სტატუსის თემასთან შეხების გარეშე. ეს მიდგომა გაზიარებულ უნდა იქნეს ყველა ჩართული აქტორის მიერ.

წარმოდგენილი ინიციატივა - ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ - ეფუძნება მოქნილ და პრაგმატულ ხედვას, ქმნის სივრცეს ყველა დაინტერესებული მხარის კონსტრუქციული მონაწილეობისთვის და ხორციელდება საერთაშორისო საზოგადოების მიერ მხარდაჭერილი ჩართულობისა და შერიგების პოლიტიკის ფარგლებში.

გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის ახალი შესაძლებლობები

ვაჭრობა და მიმოსვლა გამყოფი ხაზების გასწვრივ დღესაც მიმდინარეობს[1], თუმცა ფიზიკური დაბრკოლებების, თავისუფალი გადაადგილების, სატრანსპორტო კომუნიკაციის შეზღუდვის, ტვირთების მოცულობაზე დადგენილი ლიმიტების თუ სხვადასხვა გადასახადის ფონზე, არსებულ ვაჭრობას შეზღუდული ხასიათი აქვს. ეს ვითარება განსაკუთრებით მძიმედ აისახება გამყოფი ხაზების მომიჯნავე რაიონების მოსახლეობაზე.

წარმოდგენილი ინიციატივის მიზანია სავაჭრო ურთიერთობების წახალისება, გამარტივება და გაფართოება გამყოფი ხაზის გასწვრივ **ახალი შესაძლებლობების შექმნის გზით** და არ გულისხმობს რაიმე რეგულაციების ან დამატებითი ჩარჩოს დაწესებას დღეს არსებულ ვაჭრობაზე. კერძოდ, ინიციატივა ქმნის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოშობილი ან წარმოებული საქონლისთვის **შიდა ქართულ ბაზარსა** და ასევე, **საგარეო ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობას,** საქართველოს უპირატესი საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენებით, მათ შორის ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში. ასევე, ინიციატივა გულისხმობს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე წარმოებული ან იმპორტირებული საქონლის მიწოდებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში; და გამოყოფი ხაზების გასწვრივ სავაჭრო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ინდივიდუალური და ერთობლივი ბიზნეს ინიციატივების წახალისებას.

ახალი სავაჭრო-ეკონომიკური შესაძლებლობების სრულფასოვნად გამოყენებისა და შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შესაბამისი სარგებლის მიღებისთვის, მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა, მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება, ტვირთის გადაზიდვა, გადასასვლელი პუნქტების ფუნქციონირება, თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა, შემაფერხებელი რეგულაციების და გადასახადების თავიდან არიდება და ა.შ.

[1] International Alert, Trans-Ingur/i Economic Relations: A Case for Regulation, May 2013; International Alert, Trans-Ingur/i Economic Relations: A Case for Regulation, Volume 2, 2015. აღნიშნული კვლევების მიხედვით, 2013-14 წლებში ენგურის გასწვრივ ვაჭრობის მოცულობა 15 მლნ-მდე აშშ დოლარს შეადგენდა

სავაჭრო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები

წარმოდგენილი ინიციატივა ითვალისწინებს **ხუთ ძირითად კომპონენტს,** რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავს კონკრეტულ ინსტრუმენტებსა და მექანიზმებს, რაც ემსახურება წარმოდგენილი სამშვიდობო ინიციატივის მიზნებს.

1. **მომსახურება:** აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირებისთვის პირადი ნომრით იდენტიფიცირების შესაძლებლობა; მეწარმე სუბიექტად გამარტივებული წესით რეგისტრაცია; სხვადასხვა სერვისის ხელმისაწვდომობა;
2. **ინფრასტრუქტურა:** სპეციალური ეკონომიკური სივრცე;
3. **საშეღავათო რეჟიმი:** გადამხდელის სპეციალური სტატუსი;
4. **სავაჭრო ოპერაციები:** გამყოფი ხაზის გასწვრივ საქონლის გადაადგილება, მარკირების წესები, შიდა და გარე ბაზრებზე წვდომა;
5. **ფინანსური და საკანონმდებლო ინსტრუმენტები:** გამყოფი ხაზების გასწვრივ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მხარდაჭერისა და განხორციელებისათვის.

1. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირების პირადი ნომრით იდენტიფიკაცია

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირთათვის სავაჭრო-ეკონომიკურ ოპერაციებში მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფის და სხვადასხვა სერვისებზე წვდომის გაფართოების მიზნით, **იქმნება ახალი დეპოლიტიზირებული/სტატუს-ნეიტრალური მექანიზმი.** ეს ინიციატივა უკავშირდება პირის იდენტიფიკაციის ახალ გამარტივებულ შესაძლებლობას ინდივიდუალური ნომრით (შემდგომში – პირადი ნომერი) რეგისტრაციის გზით.

პირადი ნომრით რეგისტრაცია არ გულისხმობს პირისათვის მოქალაქეობის დადგენას ან მინიჭებას. შესაბამისად, პირადი ნომრით რეგისტრაცია არ წარმოშობს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს თუ უფლებებს[2].

დაინტერესებული პირის მიერ განცხადების წარდგენა შესაძლებელი იქნება პირადად, ან ელექტრონულად (მათ შორის, აფხაზურ და ოსურ ენებზე), ან უფლებამოსილი მესამე პირის მეშვეობით.

პირის იდენტიფიცირების პროცედურისას და მისი იდენტობის დადგენის მიზნებისათვის, მის ბიომეტრიულ მონაცემებთან ერთად (ბიომეტრიული ფოტო), შესაძლებელია, ასევე, განხილულ

[2] საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით პირს პირადი ნომერი ასევე ენიჭება საქართველოში მცხოვრები უცხოელის ბინადრობის მოწმობის, დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში

იქნეს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში გაცემული დოკუმენტები[3]. პირადი ნომრით რეგისტრაციის **პროცედურისთვის მომსახურების საფასური არ დაწესდება.**

ამ ინიციატივაში გათვალისწინებული სერვისების მიმწოდებელ შესაბამის ოპერატორს შემდგომში შეუძლია სერვისის მომთხოვნი პირის იდენტიფიცირება პირადი ნომრისა და ბიომეტრიული მონაცემების საფუძველზე.

აქამდე არსებული რეგულაციისა და პრაქტიკისგან განსხვავებით, პირადი ნომრით რეგისტრირებულ პირს შესაძლებლობა ექნება, საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ნეიტრალური მოწმობის ან სხვა დოკუმენტის წარდგენის გარეშეც, ან/და მის ხელთ არსებული, იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის პროცესის დროს გამოყენებული დოკუმენტებით მიმართვის შემთხვევაშიც, გამარტივებულად ისარგებლოს მთელი რიგი სერვისებით, როგორიცაა:

- მეწარმე სუბიექტად რეგისტრაცია და ეკონომიკური საქმიანობის წარმოება;
- გადამხდელად რეგისტრაცია (საგადასახადო შეღავათებით);
- გრანტის მიღება;
- საბანკო სერვისებით სარგებლობა;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია;
- სკოლამდელი და ზოგადი განათლების მიღება;
- უმაღლესი განათლების მიღება;
- პროფესიული გადამზადების პროგრამებში მონაწილეობა;
- გარკვეულ სტაჟირების პროგრამებში მონაწილეობა.

შესაძლებელია, ეტაპობრივად კიდევ უფრო გაფართოვდეს იმ სერვისების წრე, რომლებით სარგებლობასაც შეძლებენ პირადი ნომრის მქონე პირები.

ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტი ეხება გამყოფი ხაზის გასწვრივ ვაჭრობის წახალისებას და მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ მექანიზმებს, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირადი ნომრის მქონე პირებისთვის სხვა შესაძლებლობები (როგორიც არის, მაგალითად, განათლება) გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის სხვა სამშვიდობო ინიციატივებით.

2. სპეციალური ეკონომიკური სივრცე

სპეციალური ეკონომიკური სივრცე წარმოადგენს გეოგრაფიულ არეალს, რომელიც გავრცელდება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გამყოფი ხაზების გასწვრივ, მათ შორის, **აფხაზეთის მიმართულებით,** სოფელი რუხის ტერიტორიაზე, სადაც დღეისათვის ენგურის ხიდი, ფაქტობრივად, ერთადერთი მოქმედი გადასასვლელი პუნქტია.

[3] აღსანიშნავია, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში გაცემული დოკუმენტაციის პირის იდენტიფიკაციისთვის გამოყენების პრაქტიკა უკვე არსებობს ნეიტრალური დოკუმენტების გაცემისას, ასევე მათი ჯანდაცვის რეფერალურ პროგრამაში ჩართვისას

ასეთივე სივრცის მოწყობა და ინფრასტრუქტურის განვითარება შესაძლებელია გამყოფი ხაზების გასწვრივ სხვა მონაკვეთებზეც (მაგ. სოფ. ხურჩა) და ასევე, **ცხინვალის მიმართულებით** სოფელ ერგნეთთან, გადაადგილების უზრუნველყოფის შემთხვევაში. გასათვალისწინებელია, რომ დღეისათვის ფაქტობრივად ერთადერთი გადასასვლელი პუნქტი ახალგორის მიმართულებით ფუნქციონირებს.

სპეციალური ეკონომიკური სივრცე მოიცავს ინფრასტრუქტურას და მომსახურებას, რაც გამყოფი ხაზების გასწვრივ სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის წახალისებას შეუწყობს ხელს. მის ტერიტორიაზე განთავსებული იქნება საჯარო მომსახურების სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლობა, მათ შორის, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების და შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოები; განთავსდება საქართველოში კომერციული ბანკ(ებ)ის წარმომადგენლობა, იფუნქციონირებენ ვალუტის სწრაფი კონვერტირების პუნქტები, საფოსტო დაწესებულება და სანოტარო სამსახური, ასევე საინფორმაციო, საკონსულტაციო, ინოვაციების და ტრენინგ ცენტრები.

სპეციალური ეკონომიკური სივრცის ეფექტიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად საჭიროა სხვა ისეთი ახალი სერვისებისა და ინფრასტრუქტურის დანერგვა, როგორიც არის:

- მომსახურების ერთიანი ცენტრი;
- საგადასახადო სერვისცენტრი (გეზ-ის ფუნქციების ჩათვლით);
- აგრარული ბაზრობა;
- ავტობაზრობა;
- მეწარმეობის განვითარების სააგენტოს სერვისცენტრი;
- მრავალფუნქციური ტრენინგ ცენტრი;
- ბიზნეს ინკუბატორი;
- თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.

2.1 მომსახურების ერთიანი ცენტრი („ერთი ფანჯრის“ პრინციპი)

მომსახურების ერთიანი ცენტრი მოეწყობა სოფ. რუხთან, სავაჭრო ცენტრის სიახლოვეს და მის ირგვლივ დამატებითი ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირებას მოახდენს. მომსახურების ერთიანი ცენტრი შეითავსებს ისეთ ფუნქციებს, როგორიც არის:

- მეწარმის გამარტივებული რეგისტრაცია (მათ შორის, პირადი ნომრით რეგისტრირებული პირებისთვის);
- საქონლის სერტიფიცირება, საექსპორტო დოკუმენტაციის შექმნა-გაფორმება, ლოგისტიკური ცენტრი (საქონლის ჩატვირთვა-გადმოტვირთვა, შენახვა-გადაადგილების უზრუნველყოფა);
- ფიტოსანიტარიული შემოწმება და ლაბორატორიული კვლევა;

მომსახურება „ერთი ფანჯრის“ პრინციპით

- ფიტოსანიტარიული, ვეტერინარული ან ჰიგიენური სერტიფიკატების გაცემა;
- საქართველოდან ექსპორტის დოკუმენტაციის უფასო გაფორმება;
- სანოტარო მომსახურება;
- საბანკო და საფინანსო მომსახურება;
- საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრი;
- მეწარმეობის განვითარების სააგენტოს სერვისები.

ონლაინ რეგისტრაციის ელექტრონული პორტალი

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირები შეძლებენ **„ერთი ფანჯრის“ პრინციპით მომსახურების მიღებას და მეწარმედ დარეგისტრირებას,** რაც განხორციელდება ორ ეტაპად:

1) ფიზიკური პირის რეგისტრაცია – იმ პირებს, რომელთაც არ გააჩნიათ საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი დოკუმენტი ან პირადობის ნეიტრალური მოწმობა, რეგისტრაცია შეეძლებათ **პირადი ნომრის მინიჭების საფუძველზე,** როგორც ეს ზემოთ არის აღწერილი;

2) ფიზიკურ პირად რეგისტრაციის შემდეგ დაინტერესებულ პირს უფლება მიეცემა, დარეგისტრირდეს როგორც **მეწარმე სუბიექტი (ინდ. მეწარმე) ან დააფუძნოს იურიდიული პირი (საწარმო),** რათა შემდგომ ლეგალურად შეძლოს ბიზნესის და საქმიანობის წარმართვა საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, მათ შორის, რეგისტრირებული პირის (ფიზიკურ/იურიდიულ პირს) საბანკო ანგარიშის გახსნა საქართველოს კომერციულ ბანკ(ებ)ში.

პირადი ნომრის მქონე პირებს შესაძლებლობა ექნებათ, ისარგებლონ **რეგისტრაციის ელექტრონული პორტალით,** რათა მეწარმე სუბიექტად რეგისტრაცია განახორციელონ ონლაინ, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის გარეშეც.

დარეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტებს, მათ შორის, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირებს, შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ **გადამხდელის სპეციალური სტატუსი** და განახორციელონ გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობასთან დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობა მთელი რიგი საგადასახადო შეღავათებით.

რეგისტრირებული პირის მეწარმე სუბიექტად რეგისტრაცია

გამყოფი ხაზების გასწვრივ სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება შეეძლებათ საქართველოს მოქალაქეებს, ნეიტრალური პირადობის მოწმობის მქონე პირებს, პირადი ნომრით რეგისტრირებულ პირებს (მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში უკვე მოქმედი საწარმოები), ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ **სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ვაჭრობით დაკავებული წვრილი მოვაჭრეები** (მაგალითად, ის პირები, რომლებიც ვაჭრობენ აგრარულ ბაზრებზე), **არ საჭიროებენ პირადი ნომრით და მეწარმე სუბიექტად რეგისტრაციას**[4].

ევროსტანდარტების დანერგვა

მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირებით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ, რეგისტრაციის იურიდიულ მისამართად მიუთითონ საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორია, მაგალითად, ზემოხსენებული სპეციალური ეკონომიკური სივრცის **იურიდიული მისამართი** (სოფელი რუხი), რაც საშუალებას მისცემთ, ჩაერთონ **საქართველოს საექსპორტო ოპერაციებსა და სხვა ეკონომიკურ საქმიანობაში.**

მეწარმე სუბიექტად გამარტივებული რეგისტრაციისთვის შემუშავებულ სპეციალურ ფორმაში, ასევე, მითითებული იქნება ფიზიკური/იურიდიული პირის ფაქტობრივი მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საქმიანობის აღწერილობა.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოშობილი პროდუქცია **საექსპორტო ბაზარზე გავა როგორც საქართველოში წარმოშობილი პროდუქტი.**

საექსპორტო ბაზარზე საქართველოს ტერიტორიაზე წარმოშობილი პროდუქციის მოსახვედრად სავალდებულოა წარმოშობის სერტიფიკატი, ხოლო პროდუქციის სპეციფიკური სახეობებიდან გამომდინარე – ფიტოსანიტარიული, ვეტერინარული ან ჰიგიენური სერტიფიკატი.

შესაბამისად, განსაზღვრულ შემთხვევებში, განხორციელდება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან შემოტანილი პროდუქციის ლაბორატორიული კვლევის ჩატარება საქონლის უვნებლობის გარანტირებისათვის, რის შედეგადაც გაიცემა ფიტოსანიტარიული ან ვეტერინარული სერტიფიკატი, ან შესაბამისი დოკუმენტი, რაც აუცილებელია ასეთი სახის საქონლის უცხო ქვეყანაში ექსპორტისთვის. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ მეწარმეებს შეეძლებათ შესაბამისი სერვისისა და აღნიშნული სერტიფიკატის მოპოვება მომსახურების ერთიან ცენტრში.

ადგილზე პროდუქციის შესაბამისი ინსპექტირების განხორციელების შესაძლებლობა

თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების ფარგლებში, მათ შორის ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმების უნაკლოდ ფუნქციონირებას. შესაბამისად, პროდუქციის სპეციფიკიდან გამომდინარე და საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტისას, საჭიროების შემთხვევაში, ექსპერტებს უნდა მიეცეთ **ადგილზე შესაბამისი ინსპექტირების განხორციელების** საშუალება, რათა

[4] დღეის მდგომარეობით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით აგრარულ ბაზარზე მოვაჭრე ფიზიკური პირებისგან არ მოითხოვება მეწარმედ რეგისტრაციის გავლა; ისინი, ასევე, არ იბეგრებიან გადასახადებით. პირი დაიბეგრება, თუ იგი ეწევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელ საქმიანობას

დაადასტურონ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში პროდუქტის წარმოშობის/წარმოების ფაქტი.[5]

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მოქმედ საწარმოებს, რომლებსაც ექნებათ საკუთარი პროდუქციის ევროკავშირის წევრ ან სხვა სახელმწიფოებში ექსპორტის სურვილი, ამ ინიციატივის ფარგლებში, შესაძლებელია, დახმარება გაეწიოთ **ევროსტანდარტების დანერგვასა** და პროდუქციის მოთხოვნილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში. შეიქმნება პირობები, რომ **კერძო ლაბორატორიების ხელშეწყობით** საწარმოებმა უზრუნველყონ პროდუქციისთვის შესაბამისი სერტიფიკატის მიღება.

2.2 მრავალფუნქციური ტრენინგ ცენტრი

დაინტერესებულ პირებს მოემსახურება სპეციალურ ეკონომიკურ სივრცეში განთავსებული მრავალფუნქციური **ტრენინგ ცენტრი**.

ტრენინგ ცენტრს შეუძლია სხვადასხვა საჭიროებაზე მორგებული ტრენინგებისა და სასწავლო კურსების მიწოდება, როგორიც არის გარკვეული პროფესიული უნარებისა და ცოდნის გაღრმავება, ცნობიერების ამაღლება, სპეციალიზებული საინფორმაციო მოდულების ჩატარება საერთაშორისო ბაზრების, მეწარმეობის საერთაშორისო სტანდარტების, სფეროების თაობაზე და ა.შ.

მრავალფუნქციური ტრენინგცენტრი

ამ მომსახურების მიწოდებისას ცენტრის პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურა (მაგალითად, მეწარმეობის განვითარების სააგენტო), ისე ამ სივრცეში შექმნილი სპეციალური ბიზნეს ინკუბატორი ან დაინტერესებული ორგანიზაცია (მაგალითად, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა და სხვა კერძო ორგანიზაციები).

2.3 ბიზნეს ინკუბატორი

ბიზნესის განვითარების მიზნით შეთავაზებული იქნება **ბიზნესის ინკუბაციისა** და ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი მომსახურება საქმიანი წინადადებებისა და იდეების რეალიზებაში დახმარების გაწევის კუთხით. ეს, თავის მხრივ, სამიზნე ჯგუფებს საშუალებას მისცემთ, დააფუძნონ ან/და გააფართოონ სამეწარმეო საქმიანობა.

ბიზნესინკუბაცია მეწარმეებს დაეხმარება:

- პარტნიორების მოძიებაში;

[5] მსგავსი პრაქტიკა არსებობს მოლდოვაში, დნესტრისპირეთში, სადაც უზრუნველყოფილია ადგილზე ინსპექტირების შესაძლებლობა

- ბიზნესგეგმების შექმნაში (მათ შორის, კონსულტაციების გზით ახალი ბიზნეს იდეების გენერირებაში);
- სხვადასხვა ბაზარზე (ადგილობრივი და საგარეო) არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში (როგორც ეკონომიკური სივრცის ფარგლებში, ისე დისტანციურად, ელექტრონული მომსახურებების მეშვეობით);
- კონსულტაციის გზით, ფინანსური რესურსის მოძიებაში.

ბიზნესინკუბატორი - ბიზნესიდეების წახალისება

უკვე მომუშავე მეწარმეებისათვის დამატებითი სტიმული იქნება პროექტების დაფინანსების წყაროს/პარტნიორების მოძიება, ხოლო ამით დაინტერესებულ პირთათვის, ახალი სამეწარმეო სუბიექტების შექმნაში დახმარება.

ბიზნეს ინკუბატორში დასაქმდებიან ბიზნეს კონსულტანტები ფინანსების, მარკეტინგის, მენეჯმენტის კუთხით, ასევე, საჭიროებისამებრ, ტექნოლოგიური და ტექნიკური ექსპერტიზის სპეციალისტ-კონსულტანტები. **შესაძლებელი იქნება მომსახურების დისტანციურად გაწევაც.**

ამასთან, დაინტერესებულ პირებს მიაწვდიან ინფორმაციას საქართველოსათვის საექსპორტო ბაზრებზე მინიჭებული შეღავათების გამოყენების შესახებ.

ბიზნეს იდეების განვითარებისა და ბიზნესინიციატივების წამოწყების ხელშეწყობასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სათანადო ინფორმაციის მიღება, საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში უფასო ტრენინგებში მონაწილება და შედეგად, ტექნოლოგიური მიმართულებით უნარ-ჩვევების განვითარება ასევე შეეძლებათ **ინოვაციების ცენტრში,** რომელიც სოფელ რუხში ამოქმედდება.

2.4 საგადასახადო სერვისცენტრი (გეზ-ის ფუნქციების ჩათვლით)

საგადასახადო სერვისცენტრში მოხდება **ერთი გაჩერების პრინციპით** ყველა საგადასახადო ფორმალობის **ელექტრონულად** განხორციელება (დღგ-ის ანგარიშფაქტურის, ზედნადების გამოწერა/დახურვა, აღრიცხვის წარმოება), ასევე, საჭიროების შემთხვევაში, საექსპორტოდ განკუთვნილი პროდუქციისათვის საბაჟო პროცედურების განხორციელება, მათ შორის, **საფოსტო გზავნილებით გადაადგილებული საქონლის გაფორმება.**

2.5 აგრარული ბაზარი

აგრარული ბაზარი შესაძლებელია, განთავსდეს გამყოფი ხაზების გასწვრივ. მისი მთავარი დანიშნულება იქნება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირთათვის ბაზარზე წვდომის გამარტივება და შესაბამისად, მეტი სარგებლის მიღების წახალისება. ბაზრის ბენეფიციარები, ძირითადად, იქნებიან წვრილი მოვაჭრეები.

აღნიშნული ბაზარი იქნება მცირე მასშტაბის სავაჭრო სივრცე, რომელშიც მოეწყობა მოწესრიგებული სპეციალური სავაჭრო ინფრასტრუქტურა (საწყობი საბითუმო ვაჭრობისთვის, მშრალი და სამაცივრო საწყობი).

აგრარულ ბაზარში ანგარიშსწორება თითოეულ მოვაჭრესთან მოხდება ინდივიდუალურად, ცენტრალიზებულად მართული სალარო აპარატების გარეშე. აქვე განთავსდება ვალუტის სწრაფი **კონვერტირების პუნქტები.**

ბაზარში სხვადასხვა აკრძალული ან შეზღუდული საქონლით ვაჭრობის თავიდან აცილების მიზნით, აღირიცხება სარეალიზაციოდ მოხვედრილი პროდუქცია, დამატებითი საგადასახადო ან სხვა ფორმალური ვალდებულებების წარმოქმნის გარეშე.

ამ თუ სხვა აგრარულ ბაზრებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობა ფიზიკური პირებისათვის არ იქნება დაკავშირებული პირადი ნომრით რეგისტრაციის საჭიროებასთან.

2.6 ავტონაწილებისა და ავტომობილების ბაზრობა

ავტონაწილებისა და ავტომობილების ბაზრობა მოეწყობა რუხის სავაჭრო ცენტრის სიახლოვეს, რომელიც მოიცავს:

- ავტონაწილების პავილიონს;
- სარეალიზაციოდ წარმოდგენილი ავტომობილების სადგომს;
- ავტომობილების სარეგისტრაციო სივრცეს (განთავსდება მომსახურების ერთიან ცენტრში).

ასეთი ბაზრობის მოწყობა, გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას მისცემს შემოსავლიანი ბიზნესის წარმოების საშუალებას, მათ შორის, ავტო-საიმპორტო საქმიანობის მიმართულებითაც, რაც გავლენას იქონიებს ადგილობრივთა ეკონომიკური აქტივობის ზრდაზე.

ავტონაწილების პავილიონი

ავტონაწილებით ვაჭრობისთვის მოეწყობა შესაბამისი სივრცე. დაინტერესებულ მეწარმეს შესაძლებლობა ექნება, შეღავათიან ფასად დაიქირაოს სარეალიზაციო სივრცე.

სარეალიზაციო ავტომობილების სადგომი

აღნიშნულ ავტოსადგომზე დაინტერესებულ პირებს ექნებათ შესაძლებლობა, სარეალიზაციოდ განათავსონ როგორც განბაჟებული, ისე განუბაჟებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებები.

ავტომობილებით მოვაჭრეებს, ასევე, შეეძლებათ ხანგრძლივი ვადით ისარგებლონ ტერიტორიაზე სარეალიზაციოდ გაყვანილი სატრანსპორტო საშუალებების პარკირების სერვისით; ადგილზე დატოვონ ავტომობილი, ისე, რომ არ მოუხდეთ ბაზრობის სამუშაო საათების დასრულების შემდეგ მათი სხვა ადგილზე გადაყვანა.

ავტომობილების სარეგისტრაციო სივრცე

ავტოიმპორტიორებს ადგილზევე ექნებათ ავტომობილების განბაჟების შესაძლებლობა სხვა სარეგისტრაციო პუნქტში მათი გადაყვანის გარეშე. ადგილზე იფუნქციონირებს საქართველოს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლობა. რეგისტრირებული და განბაჟებული სატრანსპორტო საშუალების გადაყვანა შესაძლებელი იქნება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში.

2.7 თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (თიზ)

შესაძლებელია, გარკვეულ ეტაპზე და საჭიროებიდან გამომდინარე, განხილულ იქნეს სოფელ რუხის სიახლოვეს (პერსპექტივაში, ასევე, სოფ. ერგნეთთან) **თავისუფალი ინდუსტრიული ზონის** განთავსება. მისი ძირითადი დანიშნულება იქნება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოშობილი პირველადი პროდუქციის საექსპორტო ბაზრებზე წვდომის უზრუნველყოფა მათი გადამუშავების/წარმოების გზით.

თიზ – შესაძლებლობები ექსპორტისთვის

თიზ-ის სივრცეში დარეგისტრირებულ პირებს ექნებათ შესაძლებლობა ადგილზე მიიღონ ყველა საჭირო სერტიფიკატი თიზ-ში წარმოებულ თუ შეტანილ პროდუქციაზე, ისარგებლონ თიზ-ის საგადასახადო შეღავათებით და კიდევ უფრო მარტივად განახორციელონ საქონლის ექსპორტი.

3. გადამხდელის სპეციალური სტატუსი

გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობასა და ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართვის სურვილის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ, ისარგებლონ **გადამხდელის სპეციალური სტატუსით (სპეციალური საწარმოს სტატუსით)** ან გადამხდელის სპეციალური სტატუსის მინიჭების გარეშე, დარეგისტრირდნენ ჩვეულებრივ გადამხდელებად. გადამხდელის სპეციალური სტატუსის მინიჭების მოთხოვნა შეეძლება საქართველოს მოქალაქეს, ნეიტრალური დოკუმენტების მქონე პირს, პირადი ნომრით რეგისტრირებულ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირს, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომლებიც განახორციელებენ სავაჭრო ოპერაციებს გამყოფი ხაზის გასწვრივ საგადასახადო შეღავათებით და იმოქმედებენ გადამხდელის სპეციალური სტატუსით განსაზღვრული უფლებებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით, რაც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

განსხვავებით ჩვეულებრივი გადამხდელისგან, გადამხდელის სპეციალური სტატუსის მქონე პირები **ისარგებლებენ საგადასახადო შეღავათით შემდეგ სამეწარმეო საქმიანობაზე:**

- აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოშობილი ან წარმოებული საქონლის, გარდა აქციზური საქონლისა, საქართველოშივე (გარდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში) მიწოდება და ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევა;

- აღნიშნული მიზნებისთვის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში საქონლის წარმოება;
- საქართველოს საქონლის (გარდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოებულის ან წარმოშობილის) აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიწოდება.

გარდა ამისა, გადამხდელის სპეციალური სტატუსის მქონე პირებს უფლება ეძლევათ, **საგადასახადო შეღავათის გარეშე** განახორციელონ ჩვეულებრივი გადამხდელისთვის ხელმისაწვდომი სამეწარმეო საქმიანობაც, როგორიც არის:

სპეციალური გადამხდელის სტატუსი - საგადასახადო შეღავათები

- საქართველოს საქონლის (გარდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოებული და შემოტანილი საქონლისა) საქართველოშივე (გარდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში) მიწოდების ოპერაცია;
- საქართველოს საქონლის (გარდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოშობილი და შემოტანილი საქონლისა) ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევა;
- უცხოური საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის შემდეგ საქართველოში (გარდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში) მიწოდების ოპერაცია.

ამასთან, ზემომითითებულ პირებს **ეზღუდებათ ზოგიერთი საქმიანობა**, კერძოდ:

- აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ისეთი საქონლის შემოტანა/შეძენა, რომელიც არ არის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოებული ან წარმოშობილი;
- აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან აქციზური საქონლის (გარდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოებული თამბაქოს ნაწარმის და ალკოჰოლიანი სასმელების) შემოტანა;
- მომსახურებასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობა.

აღსანიშნავია, რომ გადამხდელის სპეციალური სტატუსის მქონე პირს შეეძლება, ჩვეულებრივი გადამხდელის სტატუსით, მომსახურების გასაწევად ასევე დააფუძნოს საწარმო. ამ შემთხვევაში, იგი მოექცევა ჩვეულებრივ საგადასახადო რეჟიმში და ასეთ საქმიანობაზე არ გავრცელდება საგადასახადო შეღავათები.

სპეციალური სტატუსის მქონე პირებზე გავრცელდება დაბეგვრის შეღავათიანი წესი, კერძოდ:

მოგების/საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლდება:

მიღებული მოგება/შემოსავალი:

- აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოშობილი ან წარმოებული საქონლის ამ ტერიტორიიდან სპეციალური სტატუსის მქონე პირისთვის მიწოდებიდან;
- აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოშობილი და გადმოტანილი საქონლის ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევიდან;
- საქართველოს საქონლის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიწოდებიდან;
- უცხოური საქონლის იმპორტში მოქცევის შემდეგ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიწოდებიდან.

დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლდება:

- სპეციალური სტატუსის მქონე პირის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში საქონლის მიწოდება ჩათვლის უფლებით, რაც გულისხმობს, რომ პირს უფლება ეძლევა, დაიბრუნოს წინა ოპერაციებზე გადახდილი დღგ;
- აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოშობილი ან წარმოებული საქონლის ამ ტერიტორიიდან სპეციალური სტატუსის მქონე პირისთვის მიწოდება ჩათვლის უფლების გარეშე.

4. გამყოფი ხაზების გასწვრივ საქონლის გადაადგილება, მარკირების წესები, შიდა და გარე ბაზრებზე წვდომა

4.1 საქონლის მიწოდება აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირები შეძლებენ, ადგილზე წარმოებული პროდუქცია შემოიტანონ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე თანმხლები დოკუმენტების (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში შექმნილ დოკუმენტში მითითებული მონაცემი) და, შემოწმების საჭიროების შემთხვევაში, საქონლის დათვალიერების საფუძველზე. პროდუქციას, ასევე, თან უნდა ახლდეს/უნდა ჰქონდეს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშფაქტურა და, საქონლის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა დოკუმენტები (რომლებიც გამოიწერება საქართველოს საგადახადო ორგანოს მიერ ელექტრონული საშუალებების გამოყენებით და მუშავდება ელექტრონულად).

სტატუს-ნეიტრალური მარკირება შიდა ბაზარზე

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოებული პროდუქცია საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე (სავაჭრო ქსელებში) შესაძლებელია, წარმოდგენილ იქნეს **სტატუს-ნეიტრალური მარკირების გამოყენებით.** კერძოდ, პროდუქციაზე საკმარისია განთავსდეს მწარმოებლის სახელი, წარმოების ქალაქი ან დასახლება (მაგალითად, სოხუმი, გაგრა და ა.შ.) ან/და მისამართი (ქუჩის და ნომრის მინიშნებით). საჭიროების შემთხვევაში, პროდუქციაზე

განთავსდება შესაბამისი შტრიხკოდი, რომელიც პროდუქციას მიენიჭება შესაბამისი შემცველობის მიხედვით. პროდუქციის დასახელება და მასზე განთავსებული სხვა სახის ინფორმაცია შესაძლებელია დატანილ იქნას აფხაზურ ენაზეც.

4.2 საქონლის ექსპორტი

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოშობილი საქონლის ექსპორტი შესაძლებელია საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის გავლით, საქართველოს წარმოშობის სერთიფიკატის თანხლებით და პროდუქტის სათანადო მარკირებით (მაგ. მეწარმის რეგისტრაციის ადგილის მითითებით). საქონლის დეკლარირება განხორციელდება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე რეგისტრირებული სპეციალური ან ჩვეულებრივი გადამხდელის სტატუსის მქონე პირის მიერ. საქონელზე წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა, დეკლარირება, შემოწმება, ექსპორტში გაშვებასთან დაკავშირებული პროცედურები განხორციელდება შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.3 აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში საქონლის გადაადგილება

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ პირებს, რომლებიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე რეგისტრირებულნი არიან მეწარმედ და აქვთ სპეციალური გადამხდელის სტატუსი, ასევე, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მოქმედ მეწარმე სუბიექტებს, უფლება ეძლევათ, საქონელი მიაწოდონ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ამ ინიციატივით და შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ამ შემთხვევაში, სასაქონლო ზედნადები დაიხურება გამყოფი ხაზის გადაკვეთისას. ამასთან, საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად.

5. ფინანსური და საკანონმდებლო ინსტრუმენტები

5.1 ფინანსური ინსტრუმენტი

წარმოდგენილი ინიციატივის ფარგლებში ხელი შეეწყობა გამყოფი ხაზების გასწვრივ **ვაჭრობას და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ საქმიანობას,** მათ შორის გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი წარმოების და პარტნიორული პროექტების მხარდაჭერითაც, რაც დაინტერესებული პირების მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღებასთან ერთად, შექმნის საფუძველს თანამშრომლობისა და ნდობის მშენებლობისათვის.

გამყოფ ხაზებზე ვაჭრობის წახალისების მიზნით სახელმწიფოს მხრიდან საპილოტე რეჟიმში ამოქმედდება შემდეგი სახის მექანიზმი:

არსებული სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შემუშავდება **ახალი ქვეპროგრამა,** რომლის მიზანიც იქნება მცირე ბიზნესპროექტების საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსება.

გრანტი გაიცემა როგორც ერთობლივ ბიზნესპროექტებზე, ისე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირის ინდივიდუალურ ბიზნესპროექტზე.

პარალელურად, გათვალისწინებულია **სპეციალური დამოუკიდებელი ფონდის შექმნა**, სადაც გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით მოიზიდება თანხები სხვადასხვა დონორისა და აქტორისგან, საერთაშორისო პარტნიორებისგან და კერძო ორგანიზაციებისგან.

სპეციალური დამოუკიდებელი ფონდი

სპეციალური ფონდის მუშაობას და ადმინისტრაციულ მენეჯმენტს უზრუნველყოფს მცირე ადმინისტრაციული განყოფილება, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, საპროექტო დოკუმენტაციის მოწესრიგებაშიც გაუწევს დახმარებას ფინანსური მხარდაჭერის მსურველ განმცხადებლებსაც. ამგვარი საჭიროება შესაძლოა, გაჩნდეს იმ დაინტერესებულ პირებთან დაკავშირებით, რომელთაც აქვთ კონკურენტული ბიზნესიდეები და პროექტები, თუმცა, არ გააჩნიათ პროექტის წერასთან დაკავშირებული შესაბამისი გამოცდილება.

ფონდს ასევე ეყოლება **დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიმღები სამეთვალყურეო საბჭო** – საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტთა საბჭო (სადაც შესაძლებელია ჩართული იყვნენ ვაჭრობაში მონაწილე აქტორების წარმომადგენლები გამყოფი ხაზების გასწვრივ ორივე მხრიდან) რომელიც განსაზღვრავს ძირითად მიმართულებებს, განიხილავს, შეარჩევს და მიიღებს გადაწყვეტილებებს წარმოდგენილი კონკრეტული ბიზნესინიციატივების/პროექტების დაფინანსების თაობაზე.

გარდა ამისა, ევროკავშირის და სხვა პარტნიორების დახმარებით შემუშავდება და ამოქმედდება დამატებითი ჰუმანიტარული და **საგრანტო პროგრამა/პროგრამები** (მაგალითად, როგორიც არის ENPARD III) და საერთაშორისო ექსპერტების მიერ, (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წვდომის მქონე პარტნიორი/კონტრაქტორი საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით), აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში შესაძლებელი იქნება საგრანტო თანხის ხარჯვის მიზანშეწონილობის გაკონტროლება.

5.2 საკანონმდებლო ბაზა

აღნიშნული ინიციატივის ამოქმედების მიზნით განხორციელდება სათანადო ცვლილებები სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში[6]. ცვლილებები შევა შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

[6] აღსანიშნავია, რომ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, რომელიც ზღუდავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას, მთავრობის სპეციალური თანხმობით, იძლევა ამგვარი საქმიანობის დაშვების შესაძლებლობას. სპეციალური თანხმობის გაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით

1. საქართველოს კანონში „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“;
2. საქართველოს კანონში „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“;
3. საქართველოს კანონში ,,სამოქალაქო აქტების შესახებ“;
4. „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“;
5. საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ“;
6. საქართველოს კანონში „გრანტების შესახებ“;
7. საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“;
8. საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“.

დასკვნა

სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის წახალისებისა და ეკონომიკური კავშირების დამყარების ყველა დაინტერესებული აქტორისთვის მისაღებ შესაძლებლობას ქმნის. იგი ეფუძნება მოსახლეობის საჭიროებებს და ინტერესებს და მისი განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ჰუმანიტარულ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

გამყოფი ხაზების გასწვრივ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების წახალისებისა და მხარდაჭერისათვის, ინიციატივაში შემოთავაზებულია მოქნილი და პრაგმატული ინსტრუმენტები, რაც შესაძლებელს ხდის საკითხების დეპოლიტიზაციას კონკრეტული ჰუმანიტარული ამოცანების შესრულებისას.

აღნიშნული ინიციატივა ღიაა დიალოგის და თანამშრომლობისათვის, ქმნის სივრცეს ყველა დაინტერესებული აქტორის კონსტრუქციული მონაწილეობისთვის. ამასთან, იძლევა შესაძლებლობას გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები საზოგადოებების წარმომადგენლებისთვის ჩაერთონ საზოგადოებრივ დიალოგში, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური საკითხების, ისე სხვა საინტერესო მიმართულებების განხილვისთვის (როგორიც არის განათლება, გარემოს დაცვა და სხვა), განსაზღვრონ საერთო ინტერესები და გამოწვევები, ასევე, მათი გადაწყვეტის გზები. შესაძლებელია განხილული იქნას დიალოგის სხვადასხვა ფორმები და პლატფორმები.

აღნიშნული შეთავაზება არის საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ჩართულობის დღის წესრიგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება, რომელიც სხვა სამშვიდობო ინიციატივებსა და დაგეგმილ ნაბიჯებთან ერთად ემსახურება გაყოფი ხაზების ორივე მხარეს ადამიანების კეთილდღეობის, ნდობის მშენებლობის და მშვიდობის ამოცანებს.